



აღწერა

საგოზავი გასწორებისა და რემონტისთვის, ცემენტის ფუძეზე, პოლიმერის დანამატებით. უზრუნველყოფს გლუვ და სწორ ზედაპირს შეღებვამდე.

გამოყენების სფერო

- მცირე ბზარების შესავსებად ისეთ ზედაპირებზე, როგორცაა დაუცველი ბეტონი, ასაწყობი ბეტონი, ქაფბეტონი, ბრიკეტი, აგური, ასევე შეღებვამდე ბრტყელი და გლუვი ზედაპირის შესაქმნელად.
- შენობებში სარემონტო სამუშაოების დროს.
- კედლებზე და ჭერზე, ბათქაშის შეკეთებისას.
- შესაძლებელია გამოყენება 1-5მმ-მდე აქერცლილი, დაზიანებული, გატეხილი, დეფექტური ზედაპირების და ბათქაშის შესაკეთებლად

მახასიათებლები

- ახასიათებს მაღალი ადჰეზია.
- ქმნის გლუვ და სწორ ზედაპირებს.
- თეთრი ფერის გამო, ადვილად იღებება.
- არ იზღუბა გაყინვა-დნობის ციკლების შედეგად.
- დატანების სისქე 1-5 მმ.
- ადვილი გამოყენება

ზედაპირის მომზადება

- დარწმუნდით, რომ ზედაპირი მშრალი, სუფთა და მყარია.
- გაწმინდეთ დასამუშავებელი ზედაპირი ისეთი ნარჩენებისგან, როგორცაა მტვერი, ქუჩყი, ობის ზეთი, წიდა, საღებავი, რომელიც ხელს უშლის ადჰეზიას.
- ზედაპირიდან უნდა მოაცილოთ ქვედა ფენები, როგორცაა დაზარალებული ბათქაში, ზედაპირები, რომლებიც არ არის საკმარისად მყარი და არ გააჩნიათ საყრდენი უნარი, დულაბის და ცემენტის ნარჩენები.
- მუშაობის დაწყებამდე ზედაპირი უნდა დაასველოთ ან დაამუშაოთ Kalekim Astar-ით საუკეთესო შედეგისთვის.
- დაუცველი ბეტონისთვის გამოიყენეთ B-Tone.

გამოყენების ინსტრუქცია

- თანდათანობით ჩაყარეთ 20 კგ Tamirart W 6-7 ლ წყალში და არიეთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. რეკომენდირებულია მიქსერის გამოყენება დაბალ ბრუნვებზე. არ დაამატოთ არანაირი დანამატი, რომელიც არ არის მითითებული გამოყენების ინსტრუქციაში.
- მომზადებული ხსნარი უნდა დატოვოთ 5-10 წუთით. გამოყენებამდე ისევ არიეთ 1-2 წუთის განმავლობაში.
- მეტალის შპატელის მეშვეობით შეავსეთ ხსნარით უსწორმასწორობები, ბზარები და დეფექტური ადგილები. თანაბრად გაანაწილეთ ხსნარი ზედაპირზე ისე, რომ ფენის სისქე არ აღემატებოდეს 5 მმ.
- გააპრიალეთ ზედაპირი უნდა ტენიანი ღრუბლით.

მოვლა და გამოყენების შემდგომი რეკომენდაციები

- ხსნარის დატანიდან 24 საათის განმავლობაში რეკომენდირებულია დროადრო დაატენიანოთ ზედაპირი.
- მომზადებული ხსნარი გამოიყენეთ 60 წუთის განმავლობაში. მაღალი ტემპერატურის, დაბალი ტენიანობის, ქარის შემთხვევაში ეს დრო შეიძლება შემცირდეს.
- არ გამოიყენოთ ხსნარი, რომლის ვარგისიანობის ვადა ამოიწურა ან ქერქი გაუჩნდა.



- დაუყოვნებლივ გარეცხეთ ხელსაწყოები და დაიბანეთ ხელები წყლის დიდი რაოდენობით.
- მითითებული ხარჯის მაჩვენებელი ზოგადი ინფორმაციისთვისაა. ის შეიძლება განსხვავდებოდეს გამოყენების პირობებისა და ზედაპირის თავისებურებების მიხედვით.
- უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ უსაფრთხოების პასპორტი.

შენახვა

- შეინახეთ +5°C-დან +35°C-მდე ტემპერატურაზე, მშრალ, სუფთა, ნესტისა და მზის პირდაპირი სხივებისგან დაცულ ადგილას.
- დაიცავით წყლისგან, ყინვისა და ამინდის მძიმე პირობებისგან.
- შეინახეთ ქვესადგამებში, მაქსიმუმ 3 იარუსად;
- ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, შენახვის ვადა შეადგენს 12 თვეს.

შეფუთვა

- 20 კგ კრაფტ-ტომარა
- 5 კგ პოლიეთილენის ტომარა, 5 კგ: 5 ცალი/ყუთი



ხარისხის სერტიფიკატები

არაკონსტრუქციული სარემონტო ხსნარი, TS EN 1504 - 3 / კლასი R1 შესაბამისად.

ტექნიკური მახასიათებლები

(23°C და 50% ფარდ. ტენიანობის პირობებში)

ზოგადი მონაცემები

იერსახე	თეთრი ფერის ფხვნილი
შენახვის ვადა	12 თვე გაუხსნელ შეფუთვაში მშრალ ადგილას

ინფორმაცია გამოყენებისთვის

სამუშაო ტემპერატურა	(+5°C) - (+35°C)
ნარევის პროპორციები	6.0 – 7.0 ლ წყალი / 20 კგ ფხვნილი 1.5-1.75 ლ წყალი / 5 კგ ფხვნილი
ნარევის სივრცის სუნარიანობა	მინ. 60 წუთი.
დატანის სისქე	მაქს. 5 მმ (ერთი ფენისთვის)
ხარჯი	1.20-1.40 კგ/მ ² (1 მმ სისქისთვის)

ინფორმაცია სამუშაო მახასიათებლების შესახებ

სიმტკიცე შეკუმშვაზე (EN 12808-3)	≥ 10.0 მპა (ნ/მმ ²) (28 დღე)
სიმტკიცე გადაღუნვაზე (EN 12808-3)	≥ 2.5 მპა (ნ/მმ ²)
შეჭიდულობის სიმტკიცე ბეტონთან (EN 1542)	≥ 0.8 მპა (ნ/მმ ²)
თბომედეგობა	(-30°C) - (+80°C)
საშიში ნივთიერებები ცეცხლგამძლეობა (EN 13501-1)	იხილეთ უსაფრთხოების პასპორტი A1

აქ მოცემული გამოყენების ყველა რეკომენდაცია და ინსტრუქცია ეფუძნება ჩვენს გამოცდილებას. კომპანია არ არის პასუხისმგებელი გამოყენების ყველა ფორმაზე, რომელიც დაკავშირებულია პროექტის პირობების ცვლილებასთან. აქ რეკომენდებული მეთოდები არ ათავისუფლებს მომხმარებელს პროდუქტის შესაბამისობის დადგენის პასუხისმგებლობისგან, პროექტის დეტალების გათვალისწინებით.